საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №21
2026 წლის 18 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) 11^2 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფები:

ა)	220/380 ვოლტი:		
	2026 წლის 1 ივლისიდან 2027 წლის 1 იანვრამდე	-	15.868 თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი:		
	2026 წლის 1 ივლისიდან 2027 წლის 1 იანვრამდე	-	18.610 თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი:		
	2026 წლის 1 ივლისიდან 2027 წლის 1 იანვრამდე	-	18.672 თეთრი/კვტსთ.

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**